ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 დეკემბერი, ხუთშაბათი, 1989 წ.
№ 234 (10 153) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვლავ სპორტის სასახლე



### გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე

**გუშინ** თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე.

ასპარეზობაში ჩაება 4 გუნდი — სსრ კავშირის, პოლონეთის, საქართველოსა და ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები. ჩეხოსლოვაკიელი ხელბურთელები, რომლებსაც ჰქონდათ მოწვევა, ჯერჯერობით არ ჩანან თბილისში.

გაიმართა პირველი ორი შეხვედრა. გაგაცნობთ შედეგებს: სსრ კავშირი-I — სსრ კავშირი-II —31:19 (16:8), საქართველო — პოლონეთი — 27:27 (17:13).

დღეს ქართველი ხელბურთელები ეთამაშებიან ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონებს ქვეყნის პირველ ნაკრებს. ტურნირი 10 დეკემბრამდე გასტანს.

# ბაკურიანის ხვალინდელი დღისთვის!

## ანგარიშის ნომერია 000745

**საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 16 ნოემბრის №916 „გ" განკარგულების საფუძველზე დაბა ბაკურიანში 1990-2000 წლებისათვის განაშენიანების გენერალური გეგმით გათვალისწინებული საკურორტო, კულტურული და სპორტულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობისათვის შეიქმნა სპეციალური ფონდი. ალნიშნულ ფონდში რესპუბლიკის შრომითი კოლექტივებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ თანხების ჩარიცხვისათვის გაიხსნა სათანადო სუბანგარიში. სუბანგარიშზე ჩარიცხული თანხა ყოველი წლის პირველი რიცხვისათვის გადაირიცხება სსრ კავშირის ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველოში გახსნილ ტრანზიტულ №000745 ანგარიშზე.**

**საქართველოს რესპუბლიკური ბინსოცბანკის საოპერაციო სამმართველო.**

## ლიგების კავშირის გადაწყვეტილება გააუქმეს

**საბჭოთა** კავშირის საფეხბურთო ლიგების კავშირის ადმინისტრაციულმა საბჭომ სულ ახლახან დადგენილება მიიღო 1990 წლის საკავშირო საფეხბურთო შეჯიბრებათა შესახებ. დადგენილებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ უმაღლეს ლიგაში გამოვა არა 16, არამედ 18 გუნდი, I ლიგა დაიყოფა ორ ქვეჯგუფად, II ლიგაში შეიქმნება ე. წ. ბუფერული ზონები და ა. შ. რაც სრულიად მოულოდნელი იყო საბჭოთა ფეხბურთის სხვა ხელმძღვანელი ორგანოებისთვის. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა 6 დეკემბერს გააკეთა ასეთი ოფიციალური განცხადება:

სსრკ საფეხბურთო ლიგების კავშირის ადმინისტრაციულმა საბჭომ 2 დეკემბრის სხდომაზე საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციასთან შეუთანხმებლად პრინციპული ცვლილებები მოახდინა 1990 წლის საკავშირო გათამაშებებში ოსტატთა გუნდებისთვის, რომლებიც გამოდიან უმაღლეს, პირველ და მეორე ლიგებში.

ადმინისტრაციული საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულია სხდომაზე, რომელსაც არ ესწრებოდა მის წევრთა ნახევარზე მეტი, მათ შორის სპორტის დამსახურებული ოსტატები ლ. იაშინი, კ. ბესკოვი, ი. ნეტო, სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმს სსრკ საფეხბურთო ლიგების კავშირის ადმინისტრაციული საბჭოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება უფლებამოსილად არ მიაჩნია და აღნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს საკავშირო შეჯიბრებათა ჩატარების არსებული დებულების უხეშ დარღვევას. პრეზიდიუმმა დაადასტურა, რომ უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების ოსტატთა საკავშირო შეჯიბრებები 1990 წელს ჩატარდება ზუსტად ფეხბურთის ფედერაციის მიერ დადგენილი ადრინდელი დებულების შესაბამისად.

## „ფიორენტინა"—მეოთხედფინალში

**გუშინ** კიევში შედგა უეფა-ს თასის მერვედფინალის მეორე შეხვედრა ადგილობრივ „დინამოსა" და იტალიის „ფიორენტინას" შორის.

ამ გუნდების პირველი მატჩი, როგორც ცნობილია, დამთავრდა იტალიელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 1:0. გუშინდელ საპასუხო შეხვედრაში აღინიშნა ფრე — 0:0.

ამრიგად, ორი მატჩის ჯამის შედეგად მეოთხედფინალში გავიდა იტალიის „ფიორენტინა".

## შტაბის სხდომაზე

**გუშინ,** საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროში შედგა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის სამზადისის ოპერატიული შტაბის მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა მაგიდის ჩოგბურთში, სატრეკო და საგზატკეცილო ველოსპორტში რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების საკითხები. შეფასდა დღეისთვის არსებული მდგომარეობა და დაისახა პრობლემათა დაძლევის გზები.



## დღეს და ხვალ

**თბილისში,** კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩებში თბილისის „დინამო" ლენინგრადის „სპარტაკს" უმასპინძლებს (შეხვედრები დაიწყება 20 საათზე). ერთი კვირით ადრე კი თბილისელებს კალენდარული მატჩები ჰქონდათ ალმა-ათის არმიელებთან. მაგრამ ეს შეხვედრები არ გამართულა, ვინაიდან იმ დღეებში ალმა-ათის მიმართულებით, უამინდობის გამო ვერც ერთი თვითმფრინავი ვერ გაფრინდა. ამის შესახებ გუნდისა და „დინამოს" ხელმძღვანელებმა მიაწოდეს ცნობა, როგორც საკავშირო სპორტკომიტეტის შესაბამის განყოფილებას, ისე ალმა-ათის არმიელთა კოლექტივს. როგორც ჩანს, ეს ორი შეხვედრა მოგვიანებით გაიმართება.

გუშინწინ კი დონეცკში ადგილობრივმა „შახტიორმა" მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდს უმასპინძლა. უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში დონეცკელებმა წარმატებას მიაღწიეს — 102:101. შეხვედრის პირველი ნახევარი მოიგო რტი-მ 57:48, ძირითადი დრო კი ფრედ — 91:91 დამთავრდა.

„ჟალგირისისა" და დონეცკის „შახტიორის" ადრე ჩატარებულ მატჩში კაუნასელებმა გაიმარჯვეს — 96:92.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 დეკემბრისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 15 | 14 | 1 | 29 |
| „კალევი" (ტალ.) | 16 | 10 | 6 | 26 |
| „დინამო" (მოსკ.) | 14 | 10 | 4 | 24 |
| „ჟალგირისი" (კაუნ.) | 16 | 8 | 8 | 24 |
| ასკ (ალმა-ათა) | 14 | 9 | 5 | 23 |
| ვეფ (რიგა) | 14 | 9 | 5 | 23 |
| რტი (მინსკი) | 15 | 7 | 8 | 22 |
| „სპარტაკი" (ლენ.) | 16 | 6 | 10 | 22 |
| „შახტიორი" (დონ.) | 17 | 5 | 12 | 22 |
| „ბუდიველნიკი" (კ.) | 14 | 7 | 7 | 21 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 16 | 2 | 14 | 18 |
| „დინამო" (თბილისი) | 13 | 3 | 10 | 16 |

### წოდების მინიჭება

**საბჭოთა** კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**სპორტულ ტანვარჯიშში** — მედეა ქუთათელაძეს, სტელა დავიდოვას (ორივე — თბილისი, „შევარდენი")

**მშვილდოსნობაში** — ზაირა ორუჯევას (თბილისი, შეიარაღებული ძალები)

**ფეხბურთში** — მამუკა აფციაურს, ახრიკ ცვეიბას, კახაბერ ცხადაძეს (სამივე — თბილისი, „დინამო")

**სამბოში** — ფრიდონ ყვავილაშვილს (რუსთავი, „შევარდენი")

**წყალსათხილამურო სპორტში** — ვასილ ბუდუროვს (ფოთი, „შევარდენი")

**რადიოსპორტში** — მარინე ბერაძეს (თბილისი, დოსააფი)

**ვემთსამოდელო სპორტში** — ნოდარ კენჩხაძეს (თბილისი, დოსააფი).

## რსფსრ-ის და მოსკოვის შემდეგ—მესამე! ნატურბანი

**სულ სამი წელიწადია, რაც საქართველოში დაინერგა ზამთრის სპორტის ახალი სახეობა — ნატურბანი (საციგაო სპორტი ნატურალურ ტრასაზე), რომელიც, სიტყვამ მოიტანა და, ძალზე პოპულარულია მსოფლიოში. ჩვენს სპორტსმენებს უკვე აქვთ წარმატებები ამ სახეობაში.**

**საკავშირო ნაკრებში შეიყვანეს 16 წლის ბაკურიანელი მოსწავლეები, სპორტის ოსტატები თენგიზ აკოფოვი და ზაზა ჯიჩოევი (ორადგილიანი ციგა).**

**საქართველოს** ნაკრები, რომელსაც სათავეში უდგას სსრ კავშირის ექსჩემპიონი, სპორტის ოსტატი ფელიქს ქუმარიტაშვილი, ქვეყნის მთავარ გუნდთან ერთად ორკვირიან შეკრებას გადიოდა ქალაქ ზლატოუსტში (ჩელიაბინსკის ოლქი). შეკრების დამთავრების შემდეგ იქვე, კასატურის მთაზე სპორტკლუბ „ლოკომოტივის" ტრასაზე, გაიმართა ჩელიაბინსკის ოლქის ღია პირველობა ნატურბანში.

ზემოხსენებულმა სპორტსმენებმა **14 ეკიპაჟს შორის საპატიო მესამე ადგილი დაიკავეს** რუსეთის ფედერაციისა და მოსკოვის წყვილების შემდეგ. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი „დუეტი" პარალელურად იუნიორთა შეჯიბრებაში (9 წყვილი) უძლიერესი იყო. ცხადია, ამ წარმატებით მათ კიდევ უფრო განიმტკიცეს პოზიციები ქვეყნის ნაკრებში და, როგორც ჩანს, ჩვენი მოციგავეები გამოვლენ ავსტრიის საერთაშორისო ტურნირშიც (თებერვლის დასაწყისი) და იუგოსლავიაშიც, ევროპის პირველობაზე იუნიორთა შორის (8-12 თებერვალი).

ორივე სპორტსმენის ყველაზე დიდი ოცნებაა მედლები მოიპოვონ ხალხთა ზამთრის მეშვიდე სპარტაკიადაზე, რომლის სტარტები ზლატოუსტში მომავალი წლის 3-8 მარტს ჩატარდება.

**„ლელოს" კორ.**

ალტერნატივა? — მკითხველი ასე ფიქრობს...

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

წინადადებები, შენიშვნები, მოსაზრებები

## მე ასე წარმომიდგენია

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში მე შემდეგნაირად წარმომიდგენია:

— საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს საწყის წლებში ექნება სამოყვარულო სპორტის სტატუსი. შემდეგ კი სრულყოფისა და სათანადო განმტკიცების კვალობაზე საქართველოს საფეხბურთო კავშირი (თუ ფედერაცია!) მთლიანად ან ცალკეული გუნდების სახით შეიძლება პროფესიული გახდეს. ამჟამად თბილისის „დინამოსა" და ლანჩხუთის „გურიას" მართალია ვუწოდებთ პროფესიულს, მაგრამ მიუხედავად გულშემატკივართა დიდი პატივისცემისა, მათი თამაშის კლასი სადღეისოდ მოკლებულია პროფესიონალიზმის ელემენტთა უმეტესობას.

— ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი უნდა შედგებოდეს ორი — უმაღლესი და პირველი ლიგებისაგან. უმაღლესი ლიგის გუნდებს უნდა გააჩნდეს ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობები, I ლიგას კი მხოლოდ — ძირითადი შემადგენლობა.

— უმაღლეს ლიგაში უნდა ჩაირიცხოს გუნდები ამჟამად არსებული კლასისა და ავტორიტეტის მიხედვით: 1. თბილისის „დინამო", 2. ლანჩხუთის „გურია", 3. ბათუმის „დინამო", 4. ქუთაისის „ტორპედო", 5. სოხუმის „დინამო", 6. ფოთის „კოლხეთი", 7. რუსთავის „მეტალურგი", 8. გორის „დილა". 9. ოზურგეთის „მერცხალი", 10. ზუგდიდის „დინამო", 11. წყალტუბოს „შადრევანი" და სამტრედიის „ლოკომოტივი", ე. ი. 12 გუნდი. პირველი ლიგა კი უნდა დაკომპლექტდეს

იხ. მე-2 გვ



# ვარსკვლავები „ვარსკვლავის“ კლასიდან

**ეს** ლამაზი ოთხეული, ასე ძალიან რომ უხდება თბილისის ქუჩებს, სწორედ ის ხალხია, წყალში გაცილებით უკეთესად რომ გრძნობს თავს, ვიდრე ხმელეთზე. ამ აფროსანთაგან ყველაზე ცნობილმა — სეულის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელმა, ამერიკელმა მარკ რეინოლდსმა (თქვენ მას ულვაშებით გამოიცნობთ), რბოლაში პირველად... ხუთი წლის ასაკში მიიღო მონაწილეობა. ბევრად არც დანარჩენები ჩამორჩებიან — ერთი რვა წლისა დადგა აფრის ქვეშ, მეორე — ათისა. ადრე აფროსნობას უფრო ხშირად „სამეფოს“ უწოდებდნენ და არა იმიტომ, რომ სხვადასხვა წლებში სამეფო ოჯახის წევრები ოლიმპიურ რეგატებშიც კი მონაწილეობდნენ. მაგალითად, ვესტმინსტერის ჰერცოგის ასული თავისი „სორეთი“ — ასე ერქვა მის იახტას — ჯერ კიდევ ლონდონის IV ოლიმპიური თამაშების დროს, 1908 წელს დაჯდა მეჩეჩზე. უფრო წარმატებით გამოვიდა კრონპრინცი ოლაფი, რომელიც შემდგომში ნორვეგიის მეფე ოლაფ V გახდა. 1928 წელს მან ამსტერდამის IX ოლიმპიადის ჩემპიონობა დაისაკუთრა. არა, უბრალოდ, აფროსნობა ძალზე ძვირად ღირებული გატაცება გახლავთ, რომლის ანაზღაურება ყოველ სამეფო ხაზინასაც კი არ შეუძლია. თუმცა, დრონი იცვლებიან და დღეს ერთ-ერთ პოპულარულ აფროსნად სპორტის დამსახურებული ოსტატი, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გურამ ბიგანიშვილი ითვლება. ამერიკელები მარკ და დი ენ რეინოლდსები და ჰელ ჰინელი მისი სტუმრები არიან.

**● მარკ, შენ ერთბაშად ხუთი წლიდანვე შეგიყვარდა აფრა?**

— არა, თავიდან კეტბურთი უფრო მომწონდა. აფროსნობით მამაჩემი ჯეიმსი იყო გატაცებული. ძალიან ხშირად მეც თან მივყავდი ხოლმე და ნელ-ნელა მიმიზიდა. მერე ჩვენთან, სან-დიეგოში, არის სკოლები და კოლეჯებიც კი, სადაც ზღვაოსნობას ასწავლიან. და მე „ვარსკვლავი“ მომეწონა („სტარი“, ანუ „ვარსკვლავი“ ორადგილიანი კილიანი იახტაა. მის კონსტრუქტორად ითვლება უილიამ გარდნერი, რომელმაც პირველად 1911 წელს ააგო იგი და ასე დაარქვა — პ. ბ.).

**● იცი, მარკ, ადრე მეც ვიყავი იახტით გატაცებული, მაგრამ მოვატოვე, იმიტომ, რომ შემეშინდა! შენ როგორ დაძლიე, შიში?**

— მე შიში არ მიგრძვნია, შეიძლება საქმე ისაა, როდის დაიწყებ. მე ისე ადრე დავიწყე, რომ წყალს ძალზე ბუნებრივად აღვიქვამდი, როგორც ხმელეთის გაგრძელებას. წყალი ჩემთვის მშობლიურია, ან იქნებ ქალებმა უფრო იციან შიში? ჩემი ცოლი, მაგალითად, ძალიან შეშინდა მარშან, ფლორიდაში, ერთი შეჯიბრების დროს, როცა უძლიერეს ქარში ორმოცდაათივე იახტა მთელი ნახევარი საათით კიჩოზე გადაწვა.

**● და შენ, დი ენ, იმის შემდეგ მაინც გადიხარ ზღვაში?!**

— მარკთან ერთად როცა ხარ, საშიში არაფერია. ადრე, ჯერ კიდევ სკოლაში, მესაჭე ვიყავი, მას შემდეგ კი, რაც კოლეჯში მე და მარკმა ერთმანეთი გავიცანით და მე მივხვდი, რომ იგი ყველაფერში ჩემზე ძლიერია, საჭესთან აღარ ვდგები. ჩემი სპორტული მიღწევები ასეთია: გამარჯვება ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ჩემპიონატში 1978 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლები 1988 წელს, ყოველთვის მე მატროსად ვიყავი იმ ნავზე, რომელსაც მარკი მართავდა.

**● მარკ, ამბობენ, პატარა აფრიანი ნავი პატარა საფრთხეაო, დიდი კი — შესაბამისადო... მაშ, რაღა პატარა ორადგილიანი ნავი აირჩიე?**

— პატარა ნავებზე მეტი ოსტატობაა საჭირო და იმიტომ! თუმცა საფრთხე აქ მართლაც ნაკლებია. იმათ, ვინც შორსაა ჩვენი სპორტისგან, ჰგონიათ, რომ მსოფლიოს გარშემო, შორს დისტანციებზე, დიდი ნავებით უფრო მაღალი კლასის სპორტსმენები ცურავენ, ვიდრე, ვთქვათ, ორადგილიანებით ან ერთადგილიანებითო. მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის სწორი. „ვარსკვლავი“ სპორტსმენის უნაკლო ტექნიკურ და ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს. ის, ვინც ბერდება და კარგავს ამ თვისებებს, დიდ ნავებზე გადადის.

**● კი მაგრამ, ახლა, მაგალითად „უიტბრედის“ რბოლაში მრავლად ახალგაზრდები მონაწილეობენ.**

— დიდი რბოლების მონაწილეებს კარგად უხდიან. იქ რეკლამაც არის და სპონსორებიც. ახალგაზრდები, რომლებსაც უყვართ აფროსნობა, მაგრამ ფინანსური შეჭირვების გამო არ შეუძლიათ ამის უფლება მისცენ თავს, ფულის საშოვნელად იძულებულნი არიან „დიდი ცურვით“ დაიწყონ.

**● შენ? შენ თუ განიცდი ფინანსურ შეჭირვებას?**

— ჩვენ ყველანი ფულზე ვართ დამოკიდებული. აი, ახლა ჩვენ ჯერაც არ დაგვიწყია მზადება ამერიკის თასის გათამაშებისთვის, რადგან სპორტულ ორგანიზაციებს სპონსორები ვერ უშოვიათ და არც ფული ჩანს, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, მე ყოველთვის მაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ზღვაში გავიდე. რამდენიმე წლის წინათ ჩამოვაყალიბე ფირმა, რომელიც აფრებს კერავს ნავებისა და ვინდსერფინგებისთვის. საწარმო პატარაა, მაგრამ კარგად ავტომატიზებული — ყველაფერს შვიდი კაცი ასდის. ჯერჯერობით გვყოფნის.

**● მარკ, შეიძლება ერთი მოურიდებელი შეკითხვა მოგცე? იახტსმენებზე ამბობენ, ზღვის ფანატიკოსები არიან და, ვისაც წყალი არ უყვარს, იმათ არა სცნობენო. საინტერესოა, შეირთავდი თუ არა დი ენს, ასე ვთქვათ, „პროფესიული ინტერესი“ რომ არა?**

— დამიჯერე, ძვირფასო, ცოლი ყოველთვის წარმოადგენს „პროფესიულ ინტერესს“ (იცინის). ისე, ჩვენ, შეიძლება ითქვას, ერთგვარად ქართული ოჯახი გვაქვს — დი ენი აღიარებს, რომ ოჯახის უფროსი მამაკაცია. ერთხელ მას ჰკითხეს, იმ მრავალრიცხოვანი პრიზებიდან, შენ რომ გაქვთ, რომელი უფრო მოგწონთო. დი ენმა უპასუხა, ჩვენი შვილები — ჯეფრი და ლორენიო. მე ძალიან მომეწონა მისი პასუხი. იცი, ოჯახური ცხოვრების თემებზე ლაპარაკი ყველაზე მეტად მარტოხელა მამაკაცებს უყვართ. ასე რომ, ჰელს ჰკითხე (მატროსის სახელი და სიტყვა „ეშმაკი“ ინგლისურად ერთნაირად ჟღერს. — პ. ბ.).

**● ჰელ, ქართველი ქალიშვილები თუ მოგეწონა? სასურველია, რომ ეს შენი თბილისიდან გაყოლილი ყველაზე სასიამოვნო მოგონება იყოს...**

— ჩვენ მხოლოდ გუშინ ჩამოვედით, ჯერ არავითარი შთაბეჭდილებები არა მაქვს. შენ პირველი ქალიშვილი ხარ, რომელსაც აქ შევხვდი. შენ ეს მითხარი, გათხოვილი ხარ?

**პეპი ბოჭორიშვილი.**

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე: მარცხნიდან — ჰელ ჰინელი, გურამ ბიგანიშვილი, მარკ და დი ენ რეინოლდსები.**

# საქართველოს პროფესიული ჩემპიონატი ფეხბურთში

(დასასრული)

რეგიონალური პრინციპით — 16 გუნდის შემადგენლობით. — საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს უნდა დაერქვას მოხდენილი და შინაარსიანი ქართული სახელები, აღიჭურვონ ლამაზი, მაღალხარისხოვანი ფორმითა და ინვენტარით. უნდა ჰქონდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენებისთვის საჭირო პირობები. — საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი უნდა დაიწყოს უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის 1 აპრილს და დამთავრდეს ოქტომბრის ბოლო კვირა დღეს. საქართველოს ჩემპიონატის და რესპუბლიკის თასის მატჩები მოეწყოს შაბათ და კვირა დღეებში. სხვადასხვა ამხანაგური თუ ოფიციალური, არასაჩემპიონატო ან სათასო მატჩები დაიგეგმოს ოთხშაბათობით. კარგად მოფიქრებულად უნდა შედგეს და დამტკიცდეს უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების თამაშების წლიური კალენდარი (მათი სტაბილურობის უცილობელი გარანტიით).

— უმაღლეს ლიგაში ბოლო ადგილზე გასული გუნდი გადავა პირველ ლიგაში და მის ადგილს დაიკავებს პირველი ლიგის ჩემპიონი.

— უმაღლესი და პირველი ლიგების ჩემპიონატებს გარდა უნდა ეწყობოდეს რეგიონებისა და რაიონების ჩემპიონატები. მათ შორის სათანადოდ მოფიქრებული წესით გამოვლენილი 2 საუკეთესო გუნდი დაიკავებს I ლიგის ორი აუტსაიდერის ადგილს.

— უნდა მოეწყოს მსაჯთა კორპუსის შერჩევა-ატესტაცია. მნიშვნელოვანი მატჩების მომსახურებისთვის მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს ცნობილი მსაჯების მოწვევა მეზობელი ქვეყნებიდან და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან.

— პირველ აპრილამდე საწვრთნელი პერიოდისთვის მოეწყობა სხვადასხვა ამხანაგური შეხვედრები და ტურნირები; ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ და ჩემპიონატის შიგა შუალედების დროს ქართული საკლუბო გუნდები და საქართველოს ეროვნული ნაკრები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა მატჩებსა და ტურნირებში. დეკემბერ-იანვარში ფეხბურთელები დაისვენებენ და ჩაატარებენ შემოწმება-რეაბილიტაციას.

**აბელ ჩხაიძე,**
**სპეც. სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტ საქართველოს „ავეჯმშენის“ საგეგმო განყოფილების უფროსი.**

# მიუღწეველი არაფერია!

**საქართველოს** ე. წ. ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელიც აქამდე ტარდებოდა, ცნობილია, ვერ ამართლებდა, ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას. ამის მიზეზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ერთი რამ უდავოა: გვჭირდება ჭეშმარიტად ეროვნული ჩემპიონატი! ეროვნულობა უპირველესად უნდა გამოიხატოს იმაში, რომ საქართველოს თითოეულმა მხარემ გამოიყვანოს თავისი წარმომადგენელი, თითო გუნდი (სასურველია, გუნდი ატარებდეს სათანადო მხარის სახელწოდებას. ამის ნიმუშად გამოგვადგება ლანჩხუთის „გურია“), თავ-თავისი დუბლშემადგენლობებით (ეს უკანასკნელი აუცილებელია ძლიერი და საიმედო რეზერვის შესაქმნელად). საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან კარგი იქნებოდა, თუკი ჩვენი ბედკრული საინგილოს გუნდიც მიიღებდა მონაწილეობას ამ ჩემპიონატში.

რა თქმა უნდა, ყველა რეგიონს გაუჭირდება ძლიერი კოლექტივის გამოყვანა, იქ სადაც ისინი ჰყავთ (აჭარა, აფხაზეთი, გურია, იმერეთი, ქართლი), ეს პრობლემა მოხსნილია, სადაც არა ჰყავთ, უნდა შექმნან ახალი გუნდი უკვე არსებული რამდენიმე გუნდის ბაზაზე (ეს ის გუნდებია, რომლებიც საქართველოს „ძველ“ ჩემპიონატებში იღებდნენ მონაწილეობას).

ასე და ამგვარად, პირველ მთავარ საკითხზე, თუ ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა, პასუხი, ვფიქრობ, გაცემულია. თუ ზემოთ აღნიშნული წესით მოხდება ჩემპიონატის მონაწილეთა თავმოყრა, მაშინ მათი რიცხვი 12-დან 14-მდე გამოვა (სასურველია, ქართლი წარმოდგენილი იყოს ორი გუნდით: თბილისის „საქართველო“ და, ვთქვათ, მცხეთის ან გორის „იბერია“). შეჯიბრება უნდა ჩატარდეს ორ წრედ, მიმოსვლითი წესით (როგორც ტარდება ამჟამად სსრკ ჩემპიონატი). ყველა გუნდს უნდა ჰქონდეს პროფესიული გუნდის სტატუსი.

დაბოლოს, ჩემპიონატის არსებობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი: სათანადო ორგანოებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ საქართველოს საფეხბურთო ფედერაცია დამოუკიდებლად გაერთიანდეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში, რაც საშუალებას მოგვცემს საქართველოს ჩემპიონი გავიდეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე, პრიზიორები კი — უეფა-ს თასზე. აი ეს, და მხოლოდ ეს, იქნებოდა ჩვენი გუნდებისთვისაც და გულშემატკივრებისთვისაც ყველანაირი წახალისებაც და დაინტერესებაც! თუ ღმერთმა ქნა და ამას მივაღწიეთ, მაშინ შეიძლება არანაკლები წახალისების ხერხი გამოვიყენოთ დუბლშემადგენლობათა ჩემპიონატისთვისაც. მათ შორის გამარჯვებულს მივცეთ უფლება, მონაწილეობა მიიღოს თასების მფლობელთა თასზე. დღესდღეობით ეს ყველაფერი ოცნებას უფრო ჰგავს, მაგრამ მონდომება თუა, მიუღწეველი არაფერია!

**ბადრი ბელიტაშვილი.**

# საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობა საჭიროა

**წავიკითხე** 29 ნოემბრის ნომერში „ლელოს“ მიმართვა მკითხველების და ფეხბურთის გულშემატკივრებისადმი. ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ძალზედ მიყვარს სპორტის ყველა სახეობა და მათ შორის ყველაზე ძლიერ ფეხბურთი. ის დღე, როცა ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ტარდება, ჩემთვის და ალბათ ფეხბურთის ყველა გულშემატკივარისათვის ითვლება დღესასწაულად. ამიტომ ვერ წარმომიდგენია თბილისის „დინამო“, რომელიც ვერ ან არ მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. ამ ჩემპიონატმა უნდა გამოავლინოს ქართველი კაცის ბუნება, მისი სულიერი სიწმინდე, ფიზიკური სიჯანმრთელე და, რაც მთავარია, ქართული ცეცხლოვანი ფეხბურთი.

ქართველების საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობის მიუღებლობა იქნება ქართველი კაცის ბრძოლის ველიდან გაქცევა. ფეხბურთი საყურებლად მაშინ არის კარგი, როცა მოსკოვის „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“ თამაშობს და არა მაშინ, როცა თბილისის „დინამო“ და ლანჩხუთის „გურია“.

ამ წერილში მეტს ვერაფერს ვწერ, რადგან არ მინდა წერილი ვრცელი გამომივიდეს. ისე კი გეტყვით, რომ ყველას შემიძლია დავუმტკიცო როგორც ლოგიკურად, ისე პრაქტიკულად, რომ ეს აქსიომაა და იგი საკამათო არ არის.

**ჯ. საბაური.**
**ქ. თბილისი.**

# „კოლხეთის შემოდგომა-89“

**თხუთმეტ** დღეს გაგრძელდა ხობში დიდი საჭადრაკო ზეიმი — პარალელურად ჩატარდა ორი საინტერესო ღონისძიება: საკმაოდ ძლიერი შემადგენლობის ვაჟთა საკავშირო ტურნირი (მონაწილეობდა 3 საერთაშორისო ოსტატი, 7 ოსტატი და 3 ოსტატობის კანდიდატი; საშუალო კოეფიციენტი 2320) და მსოფლიოს ექსჩემპიონ ვასილი სმისლოვის სახელობის საჭადრაკო სკოლის მორიგი შეკრება.

ტურნირს სპონსორები ჰყავდა. მთელი ხარჯები გაიღო სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთმა“, საექსპორტო წარმოების ჩაის კომბინატმა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწარმოო კომბინატმა, დაფნის კომბინატმა, სარემონტო უბანმა და კულტურულ-სპორტული კომპლექსის საკოორდინაციო საბჭომ.

შეჯიბრების გახსნას დაესწრო და დამსწრეთ მიესალმა მსოფლიოს ექსჩემპიონი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნონა გაფრინდაშვილი. ტურნირი (მთავარი მსაჯი გახლდათ ხობელი ირაკლი გეთია) მეტად დაძაბული გამოდგა. 8,5-8,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს საერთაშორისო ოსტატმა ნიკოლოზ ანდრიანოვმა (მოსკოვი) და ლენინგრადელმა ოსტატმა ევგენი სოლოჟენკინმა. 8-8 ქულით III-V ადგილები გაინაწილეს გოჩა ტყებუჩავამ (სენაკი), ამირან ბერძენიშვილმა (ჩოხატაური) და ვასილ გაგარინმა (მოსკოვი). ყველას ყურადღება მიიპყრეს ხობელმა მოსწავლეებმა, ზურაბ ტყებუჩავამ, ვლადიმერ გვასალიამ და გულად დგებუაძემ, რომლებმაც რამდენიმე საჭირო ქულა დააკარგვინეს ოსტატებს.

სმისლოვის სკოლის შეკრებაზე, ტრადიციულად, სასწავლებლის მსმენელებმა პედაგოგებს წარუდგინეს შესრულებული ძველი დავალებები და ახალი დავალებები მიიღეს.

ვფიქრობთ, საჭადრაკო დღეები დიდხანს დაამახსოვრდება ხობელ მოსახლეობას.

**ანზორ ხანიკაძე,**
**ხობის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.**

მინიფეხბურთში მიხეილ მესხის პრიზზე პირველი საერთაშორისო ტურნირის ექო

ვლადიმერ კესარევი:

# „მე კესარიძე ვიყავი...“

ამ ორ ფოტოსურათს ერთმანეთისაგან 20 წელი მაინც აშორებს, ორივეზე სხვებთან ერთად მხოლოდ ერთი ფეხბურთელია აღბეჭდილი — ქვეყნის ნაკრებისა და მოსკოვის „დინამოს“ ყოფილი მარჯვენა მცველი, მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატისა და ევროპის 1960 წლის თასის გათამაშების მონაწილე, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მწვრთნელი ფეხბურთში, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ კესარევი. თბილისის საერთაშორისო ტურნირზე იგი ვიქტორ ცარიოვთან ერთად მოსკოვის „დინამოს“ ვეტერანთა გუნდს ედგა სათავეში.

ათლეტური, სწრაფი, მეტად ტექნიკური ფეხბურთელი ვ. კესარევი წლების მანძილზე მეურვეობდა მიხეილ მესხს და, ცხადია, სხვაზე უკეთ იცოდა მისი თამაშის მანერა, მისი ფინტების ნიუანსები.

თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ძველი მეგობრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ბევრი საინტერესო რამ გაიხსენეს განვლილ ასპარეზობათა შესახებ.

ცხადია, ვისარგებლეთ შემთხვევით და გავესაუბრეთ სახელგანთქმულ მცველს:

— ბევრჯერ მითამაშია მესხის წინააღმდეგ, ბევრჯერ, ასე ვთქვათ, „დამიჭერია“ იგი, თუმცა რა — სამართლიანი თუ ვიქნები, მე კი არა, ის „მიჭერდა“... თავის ფინტებზე. ძალზე სახიფათო, პირდაპირ ამოუცნობი ფორვარდი იყო მიშა, დიდი ორიგინალობა, იმპროვიზაცია ახასიათებდა მის თამაშს. ერთი შეხედვით იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მესხი საერთოდ არ რეაგირებს თამაშზე, თითქოს არ აინტერესებს მატჩის ბედ-იღბალი. მაგრამ... უცებ ერთთავად „აფეთქდებოდა“, ისეთ იერიშს მიიტანდა კარზე, სუნთქვა შეგეკვრებოდა. სწორედ ამ თვისებებით მე მას თვით პელესაც კი შევადარებდი. დიდად ვმეგობრობდი მესხთან და საერთოდ ყველა თბილისის დინამოელთან. სხვათა შორის, საზღვარგარეთული ტურნეს რამდენიმე ამხანაგურ მატჩში მე თქვენი „დინამოს“ ღირსების დაცვაც მომიხდა. წარმოიდგინეთ, სტადიონზე კესარევის ნაცვლად „კესარიძეს“ აცხადებდნენ (ერთხელ კი თბილისელთა გუნდში გამოსული ვალენტინ ივანოვიც „ივანიძედ“ მონათლეს) — ასე იყო საფრანგეთში, ბელგიაში, ლუქსემბურგში. ორიოდე სიტყვას ვიტყვი თბილისის ტურნირზეც — მართლაც დიდებულად ჩაიარა და საერთოდ „ცარიელ“, არაფრისმთქმელ იუბილეს ჯობს ამგვარი ტურნირი. თქვენი სპორტის სასახლის სარბიელზე ვეტერანებს თითქოს მეორე სუნთქვა გაგვეხსნა.

**ოთარ ოთარაშვილი.**





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — 20 წლის წინათ თბილისში გამართული ორი „დინამოს“ მატჩის ფრაგმენტი — ლევ იაშინი, მიხეილ მესხი და ვლადიმერ კესარევი; მარჯვნივ — საერთაშორისო ტურნირზე სპორტის სასახლეში — ვლადიმერ კესარევი, იგორ ჩისლენკო და იგორ ნეტო.

კონსტანტინე შანიძის ფოტო.

# მხოლოდ ერთხელ...

● ერთ მატჩში 7 გოლის გატანა შეძლო მოსკოვის „სპარტაკისა“ და სსრკ ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ გიორგი იარცევმა. ეს მოხდა ქვეყნის ნაკრებისა და თურქეთის გუნდის შეხვედრისას. გიორგი იარცევი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირად დაასახელეს, მაგრამ მან ჯერ კიდევ 1978 წელს გაიტანა 7 ბურთი, ოღონდ ორ მატჩში — ალმა-ათის „ქაირათთან“ და ტაშკენტის „ფახთაქორთან“.

● ეს ტურნირი მინიფეხბურთში თურქეთის ვეტერანთა ნაკრების პირველი ოფიციალური შეხვედრა იყო. საქმე ისაა, რომ სპორტის ეს სახეობა თურქებში ჯერჯერობით მაინცდამაინც არაა დიდად პოპულარული, მაგრამ ბათუმის „დინამოს“ საფეხბურთო სკოლასთან და „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოსთან შექმნილმა კოოპერატივმა „მეგობრობა-89“, რომელსაც მეზობელი ქვეყნის პარტნიორებთან მჭიდრო კონტაქტები აქვს დამყარებული, შეძლო უზრუნველეყო სტუმრების ჩამოსვლა. „მეგობრობა-89“ ტურნირის ერთ-ერთი სპონსორია.

● ერთადერთი პენალტი, რომელიც ტურნირის მატჩებში დაინიშნა (თურქეთის კარში), ვერ გაიტანა თბილისის „დინამოს“ ვეტერანთა გუნდის წევრმა რევაზ ჩელებაძემ. საინტერესოა, რომ მთელი თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე ჩელებაძემ სულ ოთხჯერ ვერ გაიტანა თერთმეტმეტრიანი. პენალტი თბილისის სპორტის სასახლეში მეხუთე იყო.

● ერთადერთი გოლი საკუთარ კარში გაიტანა სსრკ ვეტერანთა ნაკრები გუნდის მოთამაშემ ვალენტინ აფონინმა. ეს მოხდა თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრაში. ერთადერთი მოთამაშე, რომელიც მატჩის დროს მოედნიდან გააძევეს (სხვათა შორის, საფინალო მატჩის დროს), მოსკოვის დინამოელი ვლადიმერ დოლბონოსოვი გახლდათ. ეს მოხდა ტურნირის მასპინძლებთან შეხვედრისას.

● ერთადერთი აბონემენტი შეიძინა ოზურგეთის „მერცხლის“ მოთამაშემ პაპუნა ნემსაძემ. პაპუნამ პირველად მიიღო მონაწილეობა ლატარიის გათამაშებაში და... ავტომანქანა „ჟიგული“ მოიგო.

**თამარ ჯიშკარიანი,**
**ლაშა ვეფხვაძე,**
**ფიზკულტურის ინსტიტუტის საზოგადოებრივი პროფესიების ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტები.**

# ეს დაუოკებელი ბერიკაშვილი,

### ანუ რამდენიმე შეკითხვა მსახიობთა გუნდის პირველი გოლის ავტორს

● **კმაყოფილი ხართ თუ არა მსახიობებისა და გულშემატკივრების მატჩის შედეგით?**

— ფრე, ცხადია, წაგებას სჯობს, ისე კი მოგება მირჩევნია.

● **თქვენი თამაშით თუ ხართ კმაყოფილი?**

— არა, ორი გოლის გატანა მინდოდა.

● **რამდენ ხანს ემზადებოდით ამ შეხვედრისათვის?**

— მთელი... ერთი დღე.

● **სად ვარჯიშობდა თქვენი გუნდი?**

— ძირითადად მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრებს შორის, სადღაც „ზემელის“ მიდამოებში.

● **თუ იცით, თქვენი მეტოქე სად ემზადებოდა?**

— „მარაკანაზე“... საბურთალოს „მარაკანაზე“ — ასეთიც ყოფილა თურმე.

● **რას იტყვით მეტოქის შესახებ.**

— აშკარად მოვატყუეთ: დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სტანისლავსკის სისტემით ვითამაშებდით! ისე ჩვენზე ნაკლები ფეხბურთელები არც იმათ ჰყოლიათ — მართლაც კარგ სპორტულ ფორმაში იყვნენ... გამოწყობილნი.

● **რა სისტემით თამაშობდით — დუბლ-ვეთი თუ ბრაზილიურით?**

— ყოვლად უსისტემოდ!

● **ვინ იყო თქვენს გუნდში ყველაზე ძლიერი?**

— ნომერი „თერთმეტი“.

● **სად იშოვეთ ასეთი მოხდენილი მაისურები?**

— სად, არ ვიცი, მაგრამ ყველას „11“ იმიტომ დავაწერეთ, ჩვენს მარცხენა გარემარბს რომ არ შეერცხვინა მესხის ნომერი. მაგრამ რა გამოვიდა... ყველამ ერთად შევარცხვინეთ „შეკრების მიზეზი“.

● **კიდევ გამოხვალთ მინიფეხბურთელთა ტურნირში?**

— თუ წიფურია სხვა დროსაც ვერ გამოიყენებს ჩემს ნაღდ პასებს, საერთოდ დავანებებ ფეხბურთს თავს. ისე კი, სერიოზულად უნდა გითხრათ, მსახიობები ვაპირებთ ჩვენი დაუვიწყარი ეროსი მანჯგალაძის სახელობის ტურნირის გამართვას და, ცხადია, მეც აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას.

● **საინტერესო ინფორმაციაა ფეხბურთის მოყვარულთათვის, მაგრამ მოდით კვლავ იუმორისტულ ტალღას დავუბრუნდეთ: გვაინტერესებს, რა აზრისა ხართ წიფურია-ფეხბურთელზე?**

— ნიჭიერი, მზარდი, პერსპექტიული ფეხბურთელია. საკმაოდ კარგი ტექნიკა აქვს, ტაქტიკურად და ფიზიკურადაც თითქოს ურიგოდ არ გამოიყურება, მშვენივრად აზროვნებს მოედანზე, მაგრამ ერთი „პატარა“ ნაკლი აქვს — ბურთი ვერ გააქვს ცარიელ კარში. სამაგიეროდ, მშვენივრად გადასცა... თურქეთის ნაკრებს ეგრეთ წოდებული ყველაზე კორექტული გუნდის პრიზი.

● **რას ფიქრობდით იმ წუთებში, მატჩის წინ ნორჩებს გაუთავებლად ავტოგრაფებს რომ ურიგებდით?**

— ნეტავი რეზინის ბეჭედი-ფაქსიმილე მქონდეს-თქო!

● **ჩვენს ტურნირზე მაყურებლებმა შეამჩნიეს, რომ დარბაზში რამდენიმე „ორეული“ იყო. ასე, მაგალითად, ალექსანდრე ჩივაძეს ტყუპი ძმასავით ჰგავდა თურქეთის გუნდის კაპიტანი ფარუკ ეზაკი (№3), ერევნელი ალექსანდრ კოვალენკო (№ 4) — მსახიობთა გუნდის ხულსა და გულს ბადრი ბეგალიშვილს, დასავლეთბერლინელი ჰერდ შიდლოვსკი (№7) გაჭრილი ვაშლივით გვაგონებდა თავის სახელოვან თანამემამულეს ფრანც ბეკენბაუერს, ხოლო თურქი ილიას აქჩაი (№8) ცნობილი ბაქოელი არბიტრის ტოფიკ ბახრამოვის „ასლი“ იყო. აი, თქვენ თუ გგავდათ ვინმე, მსახიობ გივი ბერიკაშვილს?**

— როგორ არა... „ფეხბურთელი“ გივი ბერიკაშვილი!



გივი ბერიკაშვილი

● **„ჟიგულის“ მოგებას ხომ არ აპირებდით ტურნირის ლატარიით?**

— სხვათა შორის, ეს კითხვა სხვებმაც მომცეს, და ყველას ერთნაირად ვუპასუხე: არა-მეთქი! რატომ. იღბალი არა გაქვსო? არა... აბონიმენტი-მეთქი!

აი, მანქანაზე გამახსენდა და მეც მაქვს თქვენთან ერთი შეკითხვა:

— თუ იცით, ვინ გამოიყვანა მესხისათვის განკუთვნილი „ვოლგა“ სასახლის სარბიელზე ისე, რომ მანქანაში მძღოლი არ ჩანდა?

— ალბათ... ოთარ რატიანმა.

— ოლოლო შენ, ვერ გამოიცანი — სოსო ლაღიძემ.

**რესპუბლიკის სახალხო არტისტს გივი ბერიკაშვილს სპორტის სასახლის მეხუთე სექტორის პირველ რიგში ესაუბრებოდა ოთარ ნოზაძე.**

# ვიტალი დარასელიას პრიზზე

**ბათუმში** ტრადიციად იქცა გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვიტალი დარასელიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.

ქალაქის საწარმო-დაწესებულებების 16 გუნდი ოლიმპიური სისტემით არკვევდა ურთიერთობას, ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ტრანსფორმატორებისა და მანქანათსაშენი ქარხნების ფეხბურთელები. ანგარიშით 5:2 გაიმარჯვეს ტრანსფორმატორების ქარხნის წარმომადგენლებმა (მეთოდისტი ჯ. აფხაზავა), რომელთაც გადაეცათ დარასელიას სახელობის თასი.

**ოთარ მურვანიძე.**

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**პარიზი.** მიშელ პლატინი კვლავ დარჩება საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების უფროს მწვრთნელად, ეს ცნობა ჟურნალისტებს მიაწოდა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდი, რომელსაც პლატინი ხელმძღვანელობს, ვერ მოხვდა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის 24 ფინალისტს შორის, კონტრაქტი მწვრთნელთან გაგრძელებულია.

— საფრანგეთის ნაკრების წარუმატებლობის შემდეგ დაწყებული მითქმა-მოთქმა უნდა შეწყდეს, — თქვა ფედერაციის წარმომადგენელმა. — პლატინი კვლავ გააგრძელებს საფრანგეთში მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ ახალი კონტრაქტის ვადის თაობაზე არც ერთი სიტყვა არ თქმულა, ადრე კი ფრანგულ და იტალიურ ბეჭდვით ორგანოებში გამოქვეყნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ პლატინი მწვრთნელად ბრუნდება თავის ძველ კლუბში, ტურინის „იუვენტუსში“, მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება.

—

**ბონი.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერმა გადაწყვიტა, რომ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ დატოვებს მწვრთნელის პოსტს. 45 წლის ბეკენბაუერი 1984 წლიდან წვრთნის ნაკრებს, ამ ხნის განმავლობაში მას გამუდმებულად აკრიტიკებენ, რადგანაც გუნდს არც ერთ მნიშვნელოვან ტურნირში არ გაუმარჯვია. ბეკენბაუერის ყველაზე დიდი „კრიტიკოსია“ მისი თანაგუნდელი პაულ ბრაიტნერი, რომელსაც მიაჩნია, რომ ბეკენბაუერის მწვრთნელობის პერიოდში დაეცა გფრ-ის ფეხბურთის პრესტიჟი საერთაშორისო სარბიელზე. ვარაუდობენ, რომ მის ადგილს დაიკავებს ბერტი ფოგტსი.

**ბრიუსელი.** უკანასკნელი რვა თვის მანძილზე მარჯვენა მუხლის მესამე ოპერაცია გაიკეთა ჰოლანდიის ნაკრების კაპიტანმა რუუდ გულიტმა, ეს ოპერაცია მას ბელგიის დედაქალაქის მახლობლად მდებარე კლინიკაში გაუკეთეს. ქირურგი ოპერაციის შემდეგ განცხადებით გამოვიდა, რომელმაც დიდად შეაფიქრიანა იტალიური კლუბის „მილანის“ ხელმძღვანელობა, სადაც ჰოლანდიელი ფეხბურთელი თამაშობს.

— ლაპარაკი იმაზე, დაბრუნდება თუ არა გულიტი ფეხბურთის მინდორზე, ახლა არ შეიძლება, — განაცხადა ექიმმა. — ყოველ შემთხვევაში, მომავალ ზაფხულამდე გულშემატკივრები მის თამაშს ვერ იხილავენ. საკითხი ასე უნდა დავსვათ — შეძლებს თუ არა იგი თამაშს საერთოდ.

„მილანის“ კლუბის დირექტორმა ადრიანო ჯალიანიმ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ასეთი ცნობის შემდეგ ალბათ იმაზე ფიქრიც იქნება საჭირო, თუ რამდენად მიზანშეწონილია გულიტის შემდგომი დარჩენა იტალიურ კლუბში.

— ამჟამად არავითარ კომენტარს არ გავაკეთებთ, მაგრამ გულიტთან დადებულ კონტრაქტში ესეც გათვალისწინებულია. ასე რომ, ჩვენს შორის არავითარ წყენას არ ექნება ადგილი.

**ლონდონი.** ცნობილმა ინგლისელმა მომღერალმა და კომპოზიტორმა ელტონ ჯონმა გადაწყვიტა გაყიდოს 13 წლის წინ შეძენილი საფეხბურთო გუნდი „უოტფორდი“. ამ ხნის განმავლობაში „უოტფორდი“, რომელიც იმ დროს ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მესამე დივიზიონში გამოდიოდა, პირველი დივიზიონის ლიდერი გახდა, დღეს კი მეორე დივიზიონში თამაშობს.

ელტონ ჯონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სრულებითაც არ არის გულნატკენი იმის გამო, რომ ამდენი წელი დაუკავშირა კლუბს, რომელიც საკმაოდ არასტაბილურად თამაშობს.

— ეს იყო ძალზე მშფოთვარე, მაგრამ ამასთან ძალზე სასიამოვნო დრო ფეხბურთის ისეთი ფანატიკოსისთვის, როგორიც მე ვარ. ახლა კი განშორების ჟამი დადგა. ეს, რა თქმა უნდა, ყოველთვის ნაღველს იწვევს, მაგრამ კმაყოფილი ვარ იმით, რომ კარგი მყიდველი ვიპოვე. მას უყვარს ფეხბურთი და მომავალში „უოტფორდის“ პრესტიჟის გაძლიერებას აპირებს.

გუნდის წინასწარი ფასი ორი მილიონი გირვანქა სტერლინგია, თუმცა, ელტონ ჯონს არ უთქვამს ამ შეთანხმების კონკრეტული ფასი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ „უოტფორდის“ ახალი მფლობელი გახდება კომპანია, რომელიც ორმა ცნობილმა ინგლისელმა ბიზნესმენმა ნიკოლას რაიტმა და ჩარლზ ლისაკომმა ჩამოაყალიბეს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთა შორის

# ქველინდურ დაცვაში ჩაიჭრა

**კარგა ხანია** არ ყოფილა ასეთი დაძაბული, გაურკვეველი მდგომარეობა ტურნირის ფინიშზე, როგორიც ამჟამად ვოლჟსკში (ვოლგოგრადის ოლქი) მიმდინარე ქალთა 49-ე საკავშირო ჩემპიონატშია დასკვნითი ორი ტურის წინ.

თავდაპირველად გთავაზობთ მონაწილეთა მდგომარეობას XV ტურის შემდეგ: ირინა ჩილუშკინა (ლვოვი), ლიდია სემიონოვა (კიევი), აინურ სოფიევა (ბაქო) — 9,5-9,5 ქულა თითოეულს, ქეთევან კახიანი (თბილისი), ზოია ლელჩუკ-პოპოვა (ვოროშილოვგრადი) — 9-9, იულია დიომინა (ნოვოსიბირსკი), ნინა სიტნიკოვა (ლენინგრადი), გულნარა სახატოვა (ბაქო) — 8,5-8,5 (თითო გადადებული), მარინა შერემეტიევა (კიშინიოვი) — 8, ფირუზა ველიხანლი (ბაქო) — 7, ელენა ხარკოვა (მოსკოვი), ფლორა უსკოვა (ალმა-ათა), მარია ნეპეინა (ვოროშილოვგრადი) — 6,5-6,5, ვალენტინა კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — 6 (ერთი გადადებული), სვეტლანა პრუდნიკოვა (ბალაკოვო) — 6, ანდა შაფრანსკა (რიგა) — 5,5, ირინა უმანსკაია (მოსკოვი) — 5, რენატა დომკუტე (შიაულიაი) — 3,5 ქულა.

ახლა კი თვით XV ტურის შესახებ. კახიანმა ხეირიანად ვერ გაითამაშა ქველინდური დაცვა და დებიუტშივე არასწორი გეგმა აირჩია, რამაც შავებით მოთამაშე ჩილუშკინას პოზიციის გათანაბრების საშუალება მისცა. მალე მან დიდ უპირატესობას მიაღწია და კახიანი იძულებული იყო თავი დამარცხებულად ეცნო.

ამავე ტურში შერემეტიევამ დაამარცხა ნეპეინა, სიტნიკოვამ — დომკუტე, უსკოვამ — კოზლოვსკაია, შაფრანსკამ — ხარკოვა, ველიხანლიმ — პრუდნიკოვა, ხოლო სემიონოვა-ლელჩუკის, სახატოვა-დიომინასა და უმანსკაია-სოფიევას შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

ბოლოსწინა, XVI ტურში ყურადღების ცენტრშია ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა, სახელდობრ: სიტნიკოვა-ლელჩუკის, სემიონოვა-ჩილუშკინასა და კახიანი-შერემეტიევას შეხვედრები. **უკანასკნელ ტურში კახიანის მეტოქე იქნება ნეპეინა.**

**„ლელოს“ კორ. (ტელეფონით).**
ქ. ვოლჟსკი.

## ევროპის კალათბურთო — ტურნირები

# წარმატებულობა პირველ მატჩში

**გაიმართა** კალათბურთელ ვაჟთა ევროპის საკლუბო ტურნირების მორიგი მატჩები.

**ბოლონია.** თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში კაუნასის „ჟალგირისი“, რომელიც პირველ ჯგუფში ასპარეზობს, შეხვდა ადგილობრივ „კნორს“ და დამარცხდა — 79:102 (42:54). ლიტველთა შორის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო ბრაზდაუსკასი — 12 ქულა, მასპინძლებში კი რიჩარდსონი — 19 ქულა.

შედგა კიდევ რამდენიმე მატჩი. ბელგრადში „პარტიზანმა“ საფრანგეთის „მიულუზას“ აჯობა 91:83 (43:44), მადრიდის „რეალმა“ კი, ასევე შინ, საბერძნეთის პაოკ-ი დაამარცხა — 92:71 (33:46).

# „მოჰამედ ალი“ — ახალი სუნამო!

**წარსულის ცნობილმა მოკრივემ მოჰამედ ალიმ თანხმობა მისცა სუნამოს ფირმა „კრისტელ ფრეგრენსის“ ახალგამოშვებულ ოდეკოლონს ეწოდოს მისი სახელი.**

ამ მოვლენისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე ალიმ ისევე აიყვანა ცაში „თავისი ოდეკოლონი“, როგორც საკუთარი თავი აჰყავდა რინგზე გამოსვლისას. „ეს ჩემი დაბრუნებაა, — იუბნებოდა იგი ჟურნალისტებს და თან ოდეკოლონს აფრქვევდა მათ. — ბაზრიდან განვდევნით ოდეკოლონებს „ლიზ ტეილორისა“ და „კელვინ კლეინს“ და მთელ მსოფლიოს დავიპყრობთ“.

ალის არც ამჯერად დავიწყებია ჯო ფრეზერი და ძველ მეტოქეს ახლაც გადასწვდა. „ჯო ვერასოდეს ვერ შეიქმნის ასეთ რეკლამას. მისი სახელობის ოდეკოლონს ცუდი სუნი ექნებოდა“, — განაცხადა მან.

ჟურნალისტთა კითხვაზე, სხვა პროდუქციასაც თუ დაარქმევდა იგი თავის სახელს, ექსჩემპიონმა ასე უპასუხა: „მზად ვარ, თუ ეს ჩემს სახელს ეკადრება“.

ასე რომ, ყველასათვის ცნობილ ალის კრედოს — „პეპელასავით ფრენა, ფუტკარივით დანესტვრა“ ახლა, ალბათ, დაემატება შემდეგი სიტყვები: „...და მოჰამედ ალის სუნი უდის“.

# „იტალიელ“ ამერიკელთა შეხვედრა

**იტალიაში** გაიმართა ტრადიციული მატჩი კალათბურთში იქ მოთამაშე ამერიკელ ვარსკვლავებს შორის. ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ სამხრეთ და ჩრდილოეთ იტალიის რეგიონთა გუნდების კალათბურთელები. ვარსკვლავთა ამ მატჩმა, ბუნებრივია, დიდი ინტერესი გამოიწვია და მას 15.000 მაყურებელი დაესწრო. როგორც უცხოური პრესა იუწყება, ეს მატჩი სამხრეთელთა უპირატესობით წარიმართა და მათ მეტოქეებს ვერც რიჩარდსონის (50 ქულა) და მათეუსის (35) ბრწყინვალე თამაშმა უშველა — 178:166 (42:41, 87:85, 130:124) სამხრეთელთა სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ ეს მატჩები ჩატარდა პროფესიული კალათბურთის რეგლამენტით (ოთხი პერიოდი 12-12 წუთი). გუნდების შემადგენლობა ასეთი იყო: სამხრეთი — დეი (17 ქულა), დუგლასი (4), ფერი (24), შმიტი (20), ჩავი (31), გალდეველი (3), როჰანი (8), კოკი (32), ალექსი (7), ბინიონი (6), როლე (12), ადისონი (14); ჩრდილოეთი — მიტჩელი (18), მათეუსი (35), ჯონსონი (2), მაკადუ (16), რიჩარდსონი (50), ვრანესი (3), ლამპი (9), ტომპსონი (8), მაკნეილი (12), ბუიე (4), შონე (9).

**მერაბ კალანდაძე.**

# სად მიდის მილიონები?

**მსოფლიოს** საჩოგბურთო ცხოვრებას კონტროლს უწევს ორი ორგანიზაცია — საერთაშორისო ფედერაცია (იტფ) და პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაცია (ატპ). აქამდე მათ შორის კონფლიქტი ან რაიმე სერიოზული უთანხმოება არ მომხდარა. მაგრამ ბოლო დროს მდგომარეობა თითქოს დაიძაბა. ამის მიზეზად ასახელებენ საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებას, მოაწყოს 1990 წლის დეკემბერში „დიდი მუზარადის“ კიდევ ერთი ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი სარეკორდო იქნება — 6 მილიონი დოლარი.

ამ შეჯიბრების პირობების შესახებ „ლელო“ ერთხელ უკვე იუწყებოდა, მაგრამ ვინაიდან ბოლო დროს მან სკანდალური ხასიათი მიიღო, ერთხელ კიდევ დავუბრუნდებით და შეგახსენებთ, რომ „სუპერგათამაშებაში“ მონაწილეობის უფლებას იღებს ავსტრალიის, საფრანგეთის, აშშ-ის ღია პირველობებში, აგრეთვე უიმბლდონის ტურნირსა და დევისის თასის გათამაშებაში გამორჩეული რვა უძლიერესი ჩოგბურთელი.

კონფლიქტის პირველი მიზეზი გახდა „დიდი მუზარადის“ ტურნირებში დევისის თასის — მსოფლიოს არაოფიციალური გუნდური ჩემპიონატის შეტანა. აქ, როგორც ჩანს, კონფლიქტს სერიოზული საფუძველი აქვს, ვინაიდან გუნდურ შეჯიბრებაში უძლიერესი ჩოგბურთელის გამოვლენა ძნელი საქმეა. ოპონენტებს უნდა დავეთანხმოთ იმაში, რომ ზოგიერთ სუსტ გუნდს ჰყავს საკმაოდ ძლიერი მოთამაშე, აშშ-სა და შვეციის კოლექტივები კი მუდამ, როგორც წესი, თანაბარი ძალის ჩოგბურთელებით არიან დაკომპლექტებული და ყოველთვის მაღალ ადგილებს იკავებენ. ერთი სიტყვით, დევისის თასის შედეგები რვა უძლიერესი ჩოგბურთელის გამოსავლენად არ გამოდგება.

შემდეგ, როგორც ცნობილია, ამ ახალი ტურნირის საპრიზო ფონდის ერთ მესამედს, 2 მილიონ დოლარს, გამარჯვებული ჩოგბურთელი იღებს. ამ ზღაპრული ჰონორარის მიმართაც სპორტსმენებს არაერთგვაროვანი პოზიცია უკავიათ.

ფრანგი გი ფორჟის აზრით, ეს საპრიზო ფონდი მას „მილიარდერის ბინაში მოწყობილ ოქროს ტუალეტს“ მოაგონებს. „რა საჭიროა ასეთი არანორმალური ჰონორარი, ან რატომ გთავაზობს საერთაშორისო ფედერაცია ასე გულუხვად ამ თანხას“, — ინტერესით აცხადებს იგი. მაგრამ ზოგ კომენტატორს მიაჩნია, რომ გი ფორჟის პოზიცია უფრო მყარი იქნებოდა, თვითონ რომ იყოს ამ პრიზის პრეტენდენტი.

ფორჟს ეთანხმება მეორე ფრანგი ჩოგბურთელი ანრი ლეკონტი და შვედი სტეფან ედბერგი. მათ მიაჩნიათ, რომ „ამ ტურნირის საპრიზო ფონდი სასაცილოდ დიდია“. ედბერგის აზრით, გამარჯვებულმა სპორტსმენმა უნდა მიიღოს იმდენი, რასაც სხვა ჩოგბურთელი მთელი წლის მანძილზეც ვერ მიიღებს. აღშფოთებას ვერ ფარავს ვერც ლეკონტი, ვინაიდან ეს ჰონორარი, მისი გამოთქმით, აღემატება ავსტრალიის ღია პირველობაში მონაწილე 128 ჩოგბურთელის საერთო საპრიზო ფონდს.

მაგრამ ვიმეორებთ, არც ფორჟი, არც ლეკონტი და არც ალბათ ედბერგი (ყოველ შემთხვევაში წლევანდელი სეზონის მიხედვით) არ არიან ამ ტურნირის ფავორიტები. სხვები კი ამ საკითხის ირგვლივ დუმილს ამჯობინებენ. როგორც ჩანს, რეალური ფავორიტისთვის ორი მილიონი დოლარი დიდი ცდუნებაა.

საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ამას წინათ ბრაიტონში (ინგლისი) უიმბლდონის ჩემპიონმა შტეფი გრაფმა. იგი სავსებით ეთანხმება ზემოთ დასახელებულ სპორტსმენებს იმაში, რომ ჩოგბურთელები ბოლო დროს დიდ გასამრჯელოს იღებენ. „დიდი მუზარადის“ თასის გათამაშებაზე კი აღნიშნა:

— ბუნებრივია, ამ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ უძლიერესნი, მათ კი ფული ისედაც ბევრი აქვთ. ამბობენ, ამ საპრიზო ფონდიდან 2 მილიონი დოლარი მოზარდთა ჩოგბურთს მოხმარდებაო. მე ეს არ მჯერა.

შტეფი გრაფი ალბათ გულწრფელია, როცა ამას ამბობს. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა მოვიყვანოთ ამას წინათ გამოცხადებული ცნობები ჩოგბურთელ ქალთა შემოსავლის შესახებ (1989 წლის მიწურულისთვის):

1. შტეფი გრაფი (გფრ) — 1 მილიონ 963.805 დოლარი.

2. მარტინა ნავრატილოვა (აშშ) — 1 მილიონ 285.614 დოლარი.

3. გაბრიელა საბატინი (არგენტინა) — 780.801 დოლარი.

ამ სიაში მეცხრე ადგილი უკავია ლარისა სავჩენკოს (250.122 დოლარი) და მეათე — ნატალია ზვერევას (242.583 დოლარი).

„სპორტპროგნოზი“, 51-ე ტირაჟის პროგრამა (15-17 დეკემბერი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| 1. „დინამო“ (ალმა-ათა) — სკა (ხაბაროვსკი) | 15.XII | 30 | 40 | 30 |
| 2. სკა (სვერდლოვსკი) — „იუნოსტი“ (ომსკი) | 15.XII | 60 | 30 | 10 |
| 3. „ზორკი“ (კრასნოგორსკი) — „ვოლგა“ (ულიანოვსკი) | 16.XII | 70 | 20 | 10 |
| 4. სკა (სვერდლოვსკი) — „ენისეი“ (კრასნოიარსკი) | 17.XII | 10 | 50 | 40 |
| 5. „სტროიტელი“ (სიქტივკარი) — „საიანი“ (აბაკანი) | 17.XII | 50 | 30 | 20 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 6. „ჩეზენა“ (ჩეზენა) — „სამპდორია“ (გენუა) | 17.XII | 20 | 60 | 20 |
| 7. „ფიორენტინა“ (ფლორენცია) — „ინტერი“ (მილანი) | 17.XII | 20 | 70 | 10 |
| 8. „გენუა“ (გენუა) — „ატალანტა“ (ბერგამო) | 17.XII | 60 | 30 | 10 |
| 9. „ლეჩე“ (ლეჩე) — „ასკოლი“ (ასკოლი) | 17.XII | 20 | 70 | 10 |
| 10. „მილანი“ (მილანი) — „ვერონა“ (ვერონა) | 17.XII | 60 | 30 | 10 |
| 11. „ნაპოლი“ (ნეაპოლი) — „ბოლონია“ (ბოლონია) | 17.XII | 60 | 30 | 10 |
| 12. „რომა“ (რომი) — „იუვენტუსი“ (ტურინი) | 17.XII | 10 | 40 | 50 |
| 13. „უდინეზე“ (უდინე) — „ლაციო“ (რომი) | 17.XII | 10 | 60 | 30 |

# უარი ფინანსური მოსაზრებებით

**როგორც** ცნობილია, გდრ-ის თორმეტ უძლიერეს მძლეოსანს საწვრთნელი შეკრება შვეიცარიაში ლეიკერბადეს ალპიურ ბანაკში უნდა ჩაეტარებინა. მაგრამ უკანასკნელ მომენტში ხელშეკრულება ორი ქვეყნის წარმომადგენელთა შორის გაუქმდა. მიზეზად გაზეთები ფინანსურ მოსაზრებებს ასახელებენ.

არა და შვეიცარიაში უნდა გამგზავრებულიყვნენ ისეთი საქვეყნოდ ცნობილი მძლეოსნები, როგორებიც არიან: მსოფლიო რეკორდსმენები და ოლიმპიური ჩემპიონები ბირთვის კვრაში ულფ ტიმერმანი, შუბისმტყორცნელი პეტრა ფელკე, ბადროსმტყორცნელი იურგენ შულტი, აგრეთვე მორბენლები სიგრუნ ვოდარსი და კრისტინ ვახტელი, ათჭიდელი ტორსტენ ვოსი, სპრინტერი სილკე მელერი და სხვ.

# ნობელის პრემიას იმსახურებს

**ჰამბურგის** გაზეთ „დი ველტისადმი“ მიცემულ ინტერვიუში ხუან ანტონიო სამარანჩმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი უკვე 93 წელია იბრძვის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისთვის. ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის აზრით, ასეთი საქმიანობისთვის ეს ორგანიზაცია კარგა ხანია იმსახურებს ნობელის მშვიდობის პრემიას.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

საქართველოს სპორტსახკომი აცხადებს კონკურსს სპორტის გამოყენებითი სახეობების განყოფილების უფროსი მწვრთნელის ვაკანტურ თანამდებობაზე აღმოსავლური ორთაბრძოლების სახეობებში.

კონკურსის ვადაა 10 დღე განცხადების გამოქვეყნებიდან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს სპორტსახკომს: ტელ: 23-51-79, 23-50-09.

**უურადღება!**

**საგარეჯოში დიდი მოგებაა, ბილეთის მფლობელი არ ჩანს**

**„სპორტლოტოს“** საწარმო გაცნობებთ, რომ 43 ტირაჟისათვის საგარეჯოში ჩაშვებულია „სპორტლოტოს“ „ბვ“ ნაწილები, რომელსაც წილად ხვდა მოგება 10000 მანეთი.

შეგახსენებთ, რომ ბილეთის განაღდების ბოლო ვადა წელს 11 დეკემბერს იწურება. თუ მფლობელი ამ დროში არ წარმოადგენს ბილეთის „ა“ ნაწილს, მაშინ იგი კარგავს ფულად მოგებას 10000 მანეთს და ავტომანქანა „ვაზ-21-07“ ურიგოდ შეძენის უფლებას.

**საქსპორტლოტო.**

ქარელის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოსა და სამბოში, საქართველოსა და სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ყოფილი წევრი

**იური გიორგის ძე ასპანაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10578